შეთანხმება საქართველოს ეროვნული ბანკის ელექტრონული მაღაზიის მომხმარებელთან

შეთანხმების სავალდებულო ხასიათის გათვალისწინებით, გთხოვთ, წაიკითხოთ დაკვირვებით.

I
ზოგადი დებულებანი

1. ეს შეთანხმება არის სავალდებულო ხასიათის შეთანხმება საქართველოს ეროვნულ ბანკსა (შემდგომში – ეროვნული ბანკი) და ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის ვებ–გვერდზე (შემდგომში - ფულის მუზეუმის ვებ-გვერდი) განთავსებული ელექტრონული მაღაზიის მომხმარებელს (შემდგომში – მომხმარებელი) შორის. ამ შეთანხმებაში მოცემული პირობების შესაბამისად ეროვნული ბანკი ახდენს მომხმარებლისათვის ინტერნეტ მაღაზიაში განთავსებული იმ პროდუქციის მიწოდებას, რომელიც მომხმარებლის მიერ არის შეკვეთილი.
2. ღილაკის –„ვეთანხმები“ დაჭერით მომხმარებელი გამოხატავს თანხმობას ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ პირობებზე. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე, ეროვნული ბანკი ვალდებულია საკუთრებაში გადასცეს პროდუქცია მომხმარებელს, ხოლო მომხმარებელი ვალდებულია სრულად გადაიხადოს შეკვეთის ფასი და მიიღოს ეს პროდუქცია.
3. შეკვეთის ფასი მოიცავს შემენილი პროდუქციის ღირებულებას, გადაზიდვის, დაზღვევის და საბანკო მომსახურების საფასურს. ამასთან, ბანკი უზრუნველყოფს საბანკო მომსახურების საფასურის მიღებას უშუალოდ მომხმარებლისგან.
4. ეროვნული ბანკი იტოვებს უფლებას უარი განაცხადოს შემოსული შეკვეთების შესრულებაზე მომხმარებლისათვის ყოველგვარი ახსნა–განმარტების მიცემის გარეშე, რის შესახებაც მომხმარებელს ეცნობება შეკვეთის განთავსებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში.

Comment [NK1]: Linki tarifebi

II
ანგარიშსწორების პირობები

1. პროდუქციის ფასი მოცემულია ეროვნულ ვალუტაში და ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ეროვნული ვალუტით.
2. ეროვნული ბანკი იტოვებს ფასის ცვლილების უფლებას. ფასის ცვლილება არ შეეხება იმ პროდუქციას, რომელზეც ეროვნულ ბანკს ამ შეთანხმების მიხედვით უკვე მიღებული აქვს შეკვეთა.
3. მომხმარებელს შეუძლია ფულის მუზეუმის ვებ-გვერდზე განთავსებული პროდუქციის ღირებულება გადაიხადოს როგორც საგადახდო ბარათის გამოყენებით, ისე საბანკო გადარიცხვით.
4. საბანკო გადარიცხვის შემთხვევაში შეკვეთილი პროდუქციის მიწოდება განხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მომხმარებელი სრულად ჩარიცხავს შეკვეთის ფასს ეროვნული ბანკის ანგარიშზე.
5. საბანკო გადარიცხვის შემთხვევაში, ეროვნული ბანკის ანგარიშზე შეკვეთის ფასის გადმორიცხვა უნდა განხორციელდეს შეკვეთის განთავსებიდან 5 სამუშაო

დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ზემოაღნიშნულ ვადაში ვერ უზრუნველყოფს თანხის გადმორიცხვას, ეროვნული ბანკი იტოვებს უფლებას გააუქმოს არსებული შეკვეთა. შეკვეთის ფასის გადახდა უნდა განხორციელდეს თანხის ერთჯერადად გადმორიცხვით.

6. ინტერნეტ მაღაზიის მეშვეობით განხორციელებული შეკვეთის ფასის საგადახდო ბარათების მეშვეობით გადასახდელად გამოყენებულ უნდა იქნას საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკების მიერ ემიტირებული Visa, MasterCard და American Express სისტემების საგადახდო ბარათები. გადახდის საშუალებად არ შეიძლება მიღებულ იქნას არაპერსონიფიცირებული და კომერციული (ბიზნეს, კორპორატიული) ტიპის ბარათები.
7. გადახდის უსაფრთხოება დაცულია ,,Verified by Viza“ და ,, MasterCard Secure Code“ ტექნოლოგიების გამოყენებით.
8. საგადახდო ბარათით ანგარიშსწორების შემთხვევაში, შეკვეთის ფასი შეკვეთის ფორმაში დაფიქსირებულ საგადახდო ბარათის ანგარიშზე დაიჯავშნება ეროვნული ბანკის სასარგებლოდ.
9. შეკვეთის ფასის საბარათე ანგარიშიდან ჩამოჭრა განხორციელდება მხოლოდ მომხმარებლის მიერ პროდუქციის მიღების შემდეგ, მის მიერ ხელმოწერილი კომერციული ინვოისის საფუძველზე.

III
შეკვეთის განთავსებისა და მიწოდების პირობები

1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ შეარჩიოს პროდუქციის გადამზიდავი კომპანია და შეფუთვის ფორმა.
2. პროდუქციის მიწოდება ხორციელდება საქართველოს მასშტაბით, მხოლოდ იმ ადგილებში და ვადებში, რომელიც მითითებულია ფულის მუზეუმის ვებ-გვერდზე.

Comment [NK2]: ღონკი tarifebi

3. ფულის მუზეუმის ვებ-გვერდზე განთავსებული პროდუქციის გადაზიდვის, დაზღვევისა და საბანკო მომსახურების ღირებულება ემატება პროდუქციის ფასს და მისი ანაზღაურება ეკისრება მომხმარებელს.
4. მომხმარებლის მიერ არასამუშაო დღეებში ან საათებში შეკვეთის განთავსებისას პროდუქციის მიწოდების ვადა დამატებით შეიძლება გაიზარდოს მაქსიმუმ ორი სამუშაო დღით.
5. იმ შემთხვევაში, თუ მიწოდების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ იგი უნდა განხორციელდეს მომდევნო პირველ სამუშაო დღეს.
6. შეკვეთის განთავსების შემდგომ გადამზიდავი კომპანია წინასწარ უკავშირდება მომხმარებელს ფულის მუზეუმის ვებ-გვერდზე მითითებულ საკონტაქტო ნომერზე და აცნობებს პროდუქციის მიწოდების კონკრეტულ დროს, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს დადგენილ ვადებს, გარდა ამ თავის მე–4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
7. პროდუქციის მიწოდება ხორციელდება მომხმარებლის მიერ ფულის მუზეუმის ვებ–გვერდზე პროდუქციის შეკვეთისას მითითებულ მისამართზე. თუ

შეუძლებელია პროდუქციის დროულად მიწოდება, გადამზიდავი კომპანია ვალდებულია აღნიშნული ფაქტის შესახებ აცნობოს ეროვნულ ბანკსა და მომხმარებელს.

8. თუ მომხმარებელმა, პროდუქციის მიტანა მოითხოვა არა შეკვეთაში მითითებულ, არამედ სხვა მისამართზე, გადამზიდავი კომპანია უფლებამოსილია ეროვნული ბანკის თანხმობით პროდუქცია მიიტანოს მომხმარებელთან შეთანხმებულ სხვა მისამართზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროდუქციის მიტანის ტარიფი არ აღემატება პირველად შეთანხმებულ ტარიფს.
9. გადამზიდავი კომპანიის მიერ პროდუქციის ჩაბარება დალუქული ფორმით ხორციელდება მხოლოდ იმ პიროვნებაზე, რომელმაც ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე, როგორც მომხმარებელმა, გაიარა იდენტიფიცირება. აღნიშნულის გათვალისწინებით, მომხმარებელმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის ან ბინადრობის მოწმობა, პასპორტი), რომლის მონაცემებიც უნდა ემთხვეოდეს ვებ–გვერდზე მითითებულ მონაცემებს. წინააღმდეგ შემთხვევაში პროდუქცია არ გაიცემა და მის მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯები დაეკისრება მომხმარებელს.
10. მომხმარებელი, გადამზიდავი კომპანიის წარმომადგენლის თანდასწრებით, ახდენს დალუქული პროდუქციის გახსნას, მის ვიზუალურ დათვალიერებას. კომერციულ ინვოისში სავალდებულო წესით აფიქსირებს კოდურ სიტყვას, რომელიც მან მიუთითა შესაბამის ველში პროდუქციის შეკვეთის დროს ფულის მუზეუმის ვებ-გვერდზე, ხელს აწერს კომერციულ ინვოისსა და ამ შეთანხმებას.
11. კომერციულ ინვოისში კოდური სიტყვის მითითების გარეშე მომხმარებელზე პროდუქცია არ გაიცემა. და ამ შემთხვევაშიპროდუქციის მიწოდებასთან და საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები სრულად დაეკისრება მომხმარებელს.
12. თუ მომხმარებელი პროდუქციას ჩაიბარებს გადამზიდავთან ერთად ვიზუალური დათვალიერების გარეშე და არ წამოაყენებს პრეტენზიას პროდუქციის დაზიანების შესახებ, მაშინ ითვლება, რომ მომხმარებელმა პროდუქცია მიიღო უნაკლოდ, შეთანხმებული პირობებით.
13. მომხმარებლის მიერ ამ შეთანხმებაზე და კომერციულ ინვოისზე ხელმოწერის შემდეგ მისი პრეტენზიები აღარ მიიღება.
14. თუ მომხმარებელი არ მიიღებს პროდუქციას, იგი ვალდებულია, პროდუქციის მიუღებლობის მიზეზისა და პრეტენზიის მოკლე შინაარსი აღნიშნოს კომერციულ ინვოისში სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილ გრაფაში.
15. ეროვნული ბანკი არ განიხილავს მომხმარებლის მიერ პროდუქციის დიზაინისა და სპეციფიკაციების შესახებ არაზუსტი წარმოდგენის მიზეზით გამოთქმულ პრეტენზიებს.
16. პროდუქციის დეფექტურობის და/ან გარეგნული დაზიანების გამო არ მიღების შემთხვევაში ეროვნული ბანკი თავად შეამოწმებს დაბრუნებულ პროდუქციას და ელექტრონულად ან ფოსტის საშუალებით გონივრულ ვადაში აცნობებს მომხმარებელს შესაბამისი გადაწყვეტილების შესახებ.

17. თუ ეროვნული ბანკი დაადასტურებს დაბრუნებული პროდუქციის დეფექტურობას და/ან გარეგნულ დაზიანებას, პროდუქციის შეძენის ხარჯი, მათ შორის მის მიწოდებასთან, დაზღვევასთან და საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები, სრულად დაუბრუნდება მომხმარებელს და სხვა ვალდებულება ეროვნულ ბანკს არ დაეკისრება. სხვა შემთხვევაში პროდუქციის ადგილზე მიტანის, დაზღვევისა და საბანკო მომსახურების ხარჯების გადახდა დაეკისრება მომხმარებელს. ამ შემთხვევაში მოხდება შეკვეთის გაუქმება, ხოლო ხარჯების ანაზღაურება განხორციელდება მომხმარებლის საგადახდო ბარათის ანგარიშზე დაჯავშნილი ან მის მიერ გადმორიცხული თანხიდან.
18. მომხმარებელს არ წარმოეშობა უფლებები პროდუქციის ნაკლის გამო, თუ შეთანხმების დადების მომენტში მან იცოდა ამის შესახებ.
19. თუ მომხმარებლის მიზეზით დადგენილ ვადებში ვერ ხერხდება პროდუქციის ჩაბარება, ეროვნული ბანკი აუქმებს მიღებულ შეკვეთას, ხოლო ამ ქმედებებით გამოწვეული ყველა ხარჯის ანაზღაურება მთლიანად დაეკისრება მომხმარებელს, რომელიც განხორციელდება საგადახდო ბარათზე დაჯავშნილი ან მის მიერ გადმორიცხული თანხიდან.
20. თუ პროდუქციის ადგილზე მიტანა არ მოხდა გადამზიდავი კომპანიის მიერ დადგენილ ვადაში, მომხმარებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის თაობაზე ეროვნულ ბანკს. ამასთან, მომხმარებელი უფლებამოსილია პროდუქციის მიტანის დაგვიანების შემთხვევაში მოითხოვოს არსებული შეკვეთის გაუქმება და თანხის უკან დაბრუნება. სხვა ვალდებულება ეროვნულ ბანკს არ დაეკისრება.
21. შეკვეთის გაუქმების შემთხვევაში მომხმარებლის მიერ საბანკო ანგარიშიდან გადმორიცხული თანხის უკან დაბრუნება ან მის საბარათე ანგარიშზე დაჯავშნილი თანხიდან ბლოკის მოხსნა ხორციელდება შეკვეთის გაუქმებიდან ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში.

IV
მხარეთა ვალდებულებები

1. ამ შეთანხმების შესაბამისად ეროვნული ბანკი ვალდებულია:
   ა)გადასცეს მომხმარებელს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ქონება;
   ბ)გადასცეს მომხმარებელს პროდუქციის თანმდევი ყველა საბუთი;
   გ)მისი მიზეზით შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოს მომხმარებლისათვის შეკვეთის ფასის დაბრუნება;
   დ)არ გასცეს მესამე პირზე მომხმარებლის მიერ ფულის მუზეუმის ვებ-გვერდზე განთავსებულ შესაბამის ველებში შეყვანილი ინფორმაცია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა და იმ ინფორმაციისა, რომელიც აუცილებელია გადამზიდავი კომპანიისათვის, მომხმარებლის მიერ მითითებულ ადგილზე პროდუქციის მიტანისა და ჩაბარებისათვის;
   ე)არ გასცეს მესამე პირზე მომხმარებლის მიერ ფულის მუზეუმის ვებ-გვერდზე მითითებული კოდური სიტყვა.

2. ამ შეთანხმების შესაბამისად მომხმარებელი ვალდებულია:

   ა)სრულად გადაიხადოს შეკვეთილი პროდუქციის, მისი მიწოდებისა და დაზღვევის ღირებულება ფულის მუზეუმის ვებ-გვერდზე მითითებული ფასის შესაბამისად, ხოლო პროდუქციის საგადახდო ბარათით შეკვეთის შემთხვევაში აგრეთვე გადაიხადოს საბანკო მომსახურების ღირებულება.

   ბ)სრულად და კორექტულად შეავსოს ფულის მუზეუმის ვებ-გვერდზე განთავსებული ველები და პროდუქციის მისაღებად წარმოადგინოს ნამდვილი დოკუმენტები (პირადობის ან ბინადრობის მოწმობა, პასპორტი). არასწორი მონაცემების მითითებით და/ან ყალბი დოკუმენტების წარმოდგენით გამოწვეულ შედეგებზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება თავად მომხმარებელს;

   გ)მისი მიზეზით შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში აანაზღაუროს პროდუქციის ადგილზე მიტანის, დაზღვევისა და საბანკო მომსახურების ხარჯები;

   დ)არ განახორციელოს ფულის მუზეუმის ვებ-გვერდის დაზიანება ან რაიმე სხვა ქმედება, რომელიც ზიანს მიაყენებს მუზეუმის ვებ-გვერდს ან მასთან დაკავშირებულ მესამე მხარეს;

   ე)არ გასცეს მესამე პირზე მის მიერ ფულის მუზეუმის ვებ-გვერდზე მითითებული კოდური სიტყვა;

   ვ)კომერციულ ინვოისში ჩაწეროს სწორი კოდური სიტყვა. არასწორი კოდური სიტყვის მითითებით გამოწვეულ შედეგებზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება თავად მომხმარებელს;

   ზ)პროდუქციის არ მიწოდების, დაგვიანებით მიწოდების ან სხვა რაიმე შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს ეროვნულ ბანკს:

   ტელ:: +995 32 2406 405; +995 322 406 450

   ფაქსი: +995 322 406 577

   ელექტრონული ფოსტა: info@moneymuseum.nbg.ge

3. მომხმარებელი, რომელიც ახორციელებს ფულის მუზეუმის ვებ-გვერდის მეშვეობით პროდუქციის შეძენას, აუცილებლად უნდა იყოს სრულწლოვანი და ქმედუნარიანი.
4. დაუშვებელია სხვისი საგადახდო ბარათით სარგებლობა;
5. მომხმარებლის წინასწარი ინფორმირების შემდეგ ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შეცვლაოს ამ შეთანხმების პირობები. შეთანხმების პირობების შეცვლის შესახებ ეროვნული ბანკი ორი კვირით ადრე ფულის მუზეუმის ვებ–გვერდზე მითითებულ ელ. ფოსტაზე მომხმარებელს უგზავნის ელექტრონულ შეტყობინებას. თუ მომხმარებელი არ ეთანხმება შეცვლილ პირობებს, იგი ვალდებულია ამის შესახებ ეროვნულ ბანკს აცნობოს შეტყობინების მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში. უარის შემთხვევაში ეროვნულ ბანკსა და მომხარებელს შორის დადებული შეთანხმება უქმდება. თუ მომხმარებელმა ორი კვირის განმვავლობაში ეროვნულ ბანკს არ შეატყობინა თავისი პოზიცია შეთანხმების პირობებთან დაკავშირებით, მაშინ ითვლება, რომ იგი ეთანხმება აღნიშნულ პირობებს და შეცვლილ პირობებთან დაკავშირებით შემგომი პრეტენზიები აღარ მიიღება.

V

ფორს-მაჟორი

1. შეთანხმებაში მონაწილე მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი ამ შეთანხმების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ ეს გამოწვეულია ისეთი ფორს-მაჟორული მდგომარეობით, რომლის დროსაც მხარეთათვის მათი შესრულება შეუძლებელი ხდება. ფორს-მაჟორში იგულისხმება ომი, სტიქიური უბედურება (მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, მეწყერი), ეპიდემია. აღნიშნულის შესახებ. შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადები შესაბამისად გადაიწევს ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების ვადის მიხედვით. ამ დროს მხარე პასუხისმგებლობიდან თავისუფლდება მხოლოდ ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის პერიოდში. ეს ვალდებულებები დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების შეწყვეტის შემდეგ.